

ტროპონინი

ტროპონინი წარმოადგენს რეგულატორულ ცილას, რომელიც გულის კუნთის შეკუმშვაში მონაწილეობს.

გულის კუნთის დაზიანების შემთხვევაში, დაახლოებით 3 საათის შემდეგ, ტროპონინი სისხლში მომატებას იწყებს.

რატომ კეთდება ტროპონინის ტესტი?

ტროპონინის ტესტი გამოიყენება რათა დადგინდეს, გულმკერდის არეში ტკივილი იყო თუ არა გულის კუნთის იშემიური დაზიანებით გამოწვეული. ტროპონინი ასევე გამოიყენება იმ შემთხვევაშიც, როდესაც გულმკერდის არეში ტკივილს არ მიეჭვა ყურადღება (დაზიანების შემდეგ ტროპონინი 10 დღის განმავლობაში რჩება მომატებული სისხლში).

როგორ მოვემზადოთ ანალიზისთვის და რა არის საჭირო ანალიზის გასაკეთებლად?

სპეციალური მომზადება საჭირო არ არის. ანალიზის გასაკეთებლად საჭიროა ვენური სისხლი.

რას ნიშნავს მომატებული ტროპონინი?

ტროპონინი ნორმაში $< 0.1 \text{ ng/ml}$ -ზე.

მომატებული ტროპონინი მიანიშნებს მიოკარდიუმის იშემიურ დაზიანებაზე.

თუ ტკივილის დაწყებიდან 12 საათის შემდეგ სისხლში ტროპონინმა არ მოიმატა,

გულის იშემიური დაზიანება ნაკლებად სავარაუდოა.

სხვა პათოლოგიები, რომლის დროსაც მატულობს ტროპონინი;

- ფილტვის არტერიის თრომბოემბოლია
- კორონარული სპაზმი
- კარდიომიოპათია
- მიოკარდიტი
- თირკმლის უკმარისობა
- ავტოიმუნური მიელოპათია

ტროპონინის მომატებას ასევე იწვევს:

- სტენტირება
- კარდიოვერსია ან დეფიბრილაცია
- ღია გულზე ოპერაცია
- გულზე აბლაციური პროცედურა

კიდევ რა დასახელებით შეიძლება შეგვხვდეს?

სხვა დასახელება არ გააჩნია.

საჭირო ინფორმაცია

ტროპონინი პირველად კეთდება მაშინ, როდესაც პაციენტი სავარაუდო გულის იშემიის სიმპტომებით ხვდება ჰოსპიტალში. 6-9 საათის შემდეგ ხდება ტესტის გამეორება.